საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, ი. აბულაძის ქ. (ყოფ. ჩუბინიძის) №7



ხედი ქუჩიდან, 2019წ




ხედი ზევიდან, 2019წ

შემსრულებელი
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი;

შ პ ს
„ძველი უბანი“
ივნისი
2019

საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, ავლაბრის უბან – გარეთ ავლაბარში (ისნის მუნიციპალიტეტი), რეგულირების ზონაში, რკინიგზასთან, **ი. აბულაძის ქ. (ყოფ. ჩუბინიძის) №8/7.** ტერიტორია ამჟამად ცარიელია. ამ ცარიელ ნაკვეთზე განსაზღვრულია ახალი მოცულობების აგება.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)




საპროექტო ტერიტორია უსტატუსოა
ი. აბულაძის ქ. №7

არქიტექტურული ძეგლები არ განიხილებიან საპროექტო ნაკვეთთან ერთიან ხედვით თვალსაწიერზე.


აქ მნიშვნელოვანია ისტორიულად ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელი და ახლად აგებული თბილისის სამების ტაძრის კომპლექსი.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო, 2014წ.



აეროფოტო, 2005წ.

ეს უბანი გარე ავლაბრის ზედა ნაწილშია, რკინიგზის სიახლოვეს ვიწრო ქუჩების კვარტალში. საპროექტო ტერიტორია **ი აბულაძის (ყოფ. ჩუბინიძის) ქუჩის** ბოლო მონაკვეთში მდებარეობს.

განაშენიანების განვითარება

ჩვენთვის საინტერესო მიკრო უბნის განაშენიანების განვითარება გ ა რ ე ა ვ ლ ა ბ რ შ ი დაიწყო XVIII ს-ის მეორე ნახევარში. XIX ს-ის დასაწყისში. აქვე დასავლეთით მდებარეობდა ხოჯა-ვანქის სასაფლაო. სასაფლაოზე XX-XXI სს-ის მიჯნაზე აშენდა სამების სატაძრო კომპლექსი.



თბილისის გეგმა 1867წ.



თბილისის გეგმა 1902წ.

ჩვენთვის საინტერესო მიკროუბნის განაშენიანება ჩამოყალიბდა XIX ს-ის II ნახევარში, 1870-იან წლებში რკინიგზის გაყვანის შემდეგ. ამ დროიდან აქ, კახეთის მოედნის (დღეს ავლაბრის მოედანი), ზევით ოდნავ დამრეც ვაკეზე განვითარდა ვიწრო ქუჩების ქსელი. ამ ურბანული კვანძის ღერძი იყო **მარტყოფის ქუჩა.** ეს ქუჩები უკვე აღნიშნულია 1867 წლის თბილისის გეგმაზე სახელის გარეშე. XIX ს-ის ბოლოს კი მათ უკვე დასახელებები აქვთ, რომლებიც იცვლებოდა XX ს-ის განმავლობაში.

რეადის ქ – 1884წ, ჩუბინიძის ქ. – 1921წ, **ი. აბულაძის ქ. 2000-იანი წწ;**
ხოჯა-ვანქის ქ. – 1884წ; რაბადის ქ. – 1921წ კ. ერისთავის ქ. – 1991წ..
მარტყოფის ქუჩა. – 1884წლიდან.
მარტყოფის შეს. – 1884წლიდან.

ამ უბნის ტერიტორიის შედარებით გვიან ათვისების გამო, პრაქტიკულად გამოტოვებულ იქნა ბანიანი ნაგებობების მშენებლობის ეტაპი და პირდაპირ შენდება ორქანობიანი ერთ-ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელთა შორის ჭარბობს საგარეუბნო ტიპის სტრუქტურები და განაშენიანებასაც ნახევრად საკარმიდამო ხასიათი აქვს. თუმცა ქუჩების პერიმეტრზე განაშენიანებამ თანდათან მწკრივული ხასიათი შეიძინა, კვარტალების შიგნით კი, როგორც წესი, დაცული იყო თავისუფალი მოხაზულობის შიდა ეზოების სტრუქტურა. გვხვდება სახლები მეტ-ნაკლებად ხარისხიანი არქიტექტურული ფასადებით და მათ პირველ სართულებში დატანილი დუქნებით.

ნაგებობათა უმრავლესობა ამ უბანში XIXს-ის ბოლოს და XXს-ის დასაწყისში აშენდა. იმავე დროის და ასეთივე ტიპისა იყო საპროექტო ადგილზე ნაშენი სახლებიც, რომლებიც ამჟამად დანგრეულია.

- უბნის განაშენიანების სტრუქტურა



ი. აბულაძის ქუჩა, მარტყოფის ქუჩიდან, ხედი აღმოსავლეთით, 2019წ




ი. აბულაძის ქუჩის შუა ნაწილი, ხედი აღმოსავლეთით, 2019წ




ი. აბულაძის ქუჩა, ხედი დასავლეთით, 2019წ.

აბულაძის ცხრა მეტრი სიგანის ქუჩა იწყება დმანისის და მახათას შესახვევის გზაჯვარედინთან. გადაკვეთს მთავარანგელოზის, მარტყოფის ქუჩებს, ი. აბულაძის შესახვევს და სწორი ვექტორით მიუყვება ფერდობის გასწვრივ 320მ-ის მანძილზე რკინიგზამდე. ძირითადად ამ ქუჩაზე ერთ ან ორი, აქა-იქ სამსართულიანი საცხოვრებელი სახლებია აგურით ნაგები შეულესავი და შელესილი ფასადებით. უკანასკნელ ხანს აშენდა ახალი სახლი, რომელიც ოდნავ მოზრდილია ამ ქუჩის მასშტაბისთვის. ქუჩაზე არქიტექტურული ძეგლები არ არის აღნუსხული. აქ მხოლოდ რამდენიმე ფონური ღირებულების ნაგებობაა.

საპროექტო ტერიტორია



ხედი საპროექტო ტერიტორიისკენ ი. აბულაძის ქუჩიდან, 2019წ.



№7 საპროექტო ტერიტორიის ხედი დასავლეთისკენ. 2019წ




№7 საპროექტო ტერიტორიის ხედი აღმოსავლეთისკენ. 2019წ


საპროექტო ტერიტორია მართკუთხა ნაკვეთია (ს/კ/ 01.17.01.050.007) აბულაძის ქუჩასა და აბულაძის შესახვევის კუთხესთან. ამჟამად ნაკვეთი ცარიელია. აქ №9 სახლის გვერდით იდგა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მოკლე გვერდით გამოდიოდა ქუჩაზე, ხოლო ქუჩის პერიმეტრზე იდგა ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი. ორთავე დაინგრა 2010-იანი წლების დასაწყისში, შემორჩენილია მხოლოდ მათი საძირკვლების ნაშთები.



აეროფოტო, 2014წ



ტოპოგეგმა დანგრეული ორსართულიანი და ერთსართულიანი სახლებით, 1970-იანიწწ



სამისამართო დანგრეული სახლებით №7 და №7/12, 1990-იანიწწ



ხედი ი. აბულაძის ქუჩაზე აღმოსავლეთისკენ, 2019წ.



ხედი ი. აბულაძის ქუჩაზე დასავლეთისკენ, 2009წ.

ერთი ათეული წლის განმავლობაში უბნის სახე დიდად არ შეცვლილა, თუმცა დაინგრა ზოგი ნაგებობა და გამოიცვალა ბევრი მათგანის სახურავები. მათ შორის დაინგრა საპროექტო ნაკვეთზე ქუჩისკენ მოკლე ფასადით მდგომი ორსართულიანი და ქუჩის პერიმეტრე წაგრძელებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები.





ნაგებობები №24ა და №26 საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ, 2019წ



ნაგებობები №10 და №14 საპროექტო ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს, 2019წ

საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ერთ-ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებია, უკან ან წინ შემოზღუდული ნახევრადსაკარმიდამო ტიპის ეზოებით. მის გვერდით, რკინიგზის ხაზამდე წაგრძელებული იყო ბარაკული ტიპის სამხედრო სამეურნეო ნაგებობა, რომლის ნახევარი საპროექტო ნაკვეთის მხარეს ამჟამად მონგრეულია.

საპროექტო ტერიტორიაზე, ამჟამად დნგრეული, ორქანობიანი ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი №7/12, გრძივი გვერდით იდგა ქუჩის პერიმეტრზე. ნაკვეთზე არსებული და ამჟამად დანგრეული მეორე საცხოვრებელი სახლი №7 კი (ასევე ორქანობიანი), ორსართულიანი იყო და ყრუ გრძივი კედლით ებჯინებოდა მეზობელ №9 საცხოვრებელ სახლს. ეს სახლები უკანა მხრიდან, შიდა კვარტალისკენ შემოიფარგლავდა ეზოს.

ამჟამად ცარიელი ნაკვეთი სამხრეთისკენ ემიჯნება შიდა კვარტალისკენ მდგომი L–ის ფორმის ორსართულიანი სახლის მოკლე ყრუ კედელს და ეზოს მაღალ ღობეს. ხოლო დასავლეთისკენ, მაღალ ცოკოლზე მდგომ, ასევე L–ის ფორმის აგურის შეულესავი წყობის №9 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ყრუ უკანა კედელს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამგვარად, საპროექტო ტერიტორიაზე მდგომი და ამჟამად დანგრეული საცხოვრებელი სახლები და ნაგებობები მის ირგვლივ წარმოადგენენ XIX-XXს-ის დასაწყისის ფართოდ გავრცელებულ ერთ/ორსართულიანი საცხოვრებელი სახლების რიგით ტიპს ავლაბარში, ერთი ან ორი ანფილადური ოთახით და ორ ან ოთხქანობიანი სახურავებით. ეს ნაგებობები არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით, არ არის ღირებული. თუმცა, თავისთავად საინტერესოა, როგორც განსაზღვრული საამშენებლო ეტაპის ამსახველი რეალობები თბილისის განვითარების ისტორიაში.

საპროექტო ნაკვეთის მომიჯნავე კვარტალი კი, მთლიანად იყო მოცული სამხედრო დანიშნულების ბარაკული ტიპის სამეურნეო წაგრძელებული ნაგებობებით. ამ ნაგებობათა უმრავლესობა ამჟამად დანგრეულია, ტერიტორია კი, დეგრადირებული.

ასევე, სიძველით დაზიანებულია ირგვლივ მდგომი საცხოვრებელი ნაგებობებიც. განაშენიანების ცალკეული მონაკვეთები დეგრადირებულია და აქ სასურველიც არის ახალი მოცულობების აგება, რომლებმაც უნდა გააუმჯობესონ ურბანული ქსოვილი. მითუმეტეს თუ ეს განხორციელდება კერძო მფლობელების სახსრებით, რადგან ქალაქის ბიუჯეტი ამგვარი ადგილების მოწესრიგებას კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს.

პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით განაშენიანება მოცულობებით და სართულიანობით სასურველია, რომ გაიზარდოს. ასევე, გასაზრდელია მეჩხერი და ნახევრადსაკარმიდამო განაშენიანების ურბანიზაციის დონე. ოღონდ აქ წარმოებულ ახალმშენებლობების დაპროექტებისას აუცილებელია ზოგადი და კერძო ხასიათის რეკომენდაციების გათვალისწინება.

ამგვარად, შესაძლებელია და სასურველიცაა, განსაზღვრული გამომსახველობითი ინტენსივობის და მშენებლობის კარგი ხარისხის, ახალი არქიტექტურული ფორმების გაჩენა. მაგრამ არა საგარეუბნო ტიპის სახლების აგება (მიუხედავად იმისა, რომ ურბანულ ქსოვილს აქ საკარმიდამო განაშენიანების სახე აქვს), არამედ კერძოდ ავლაბრისათვის დამახასიათებელი ურბანული მოცულობების დაპროექტება. ამასთან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენებას და ნეიტრალურ „ჩამქრალ“ ფერებს;

აქ მნიშვნელოვანია ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქუჩათა ქსელი და პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით, ახალმშენებლობის წარმოების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უბნის განაშენიანების მასშტაბები და მხედველობაში უნდა გვქონდეს შემდეგი გარემოებები:

- აქ აშენდა „სამების“ საკათედრო კომპლექსი და პრეზიდენტის რეზიდენცია. ეს ახალმშენებლობები ბუნებრივია გამოიწვევს უბნის გადაგეგმარებას. ამიტომ მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს ის რაც ღირებულია და ცვლილებების დროს გათვალისწინებული იყოს უბნის პერსპექტიული განვითარება, რათა ახალი მოცულობები ფორმით, მასალითა თუ ფასადების მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტით არ იყოს ამოვარდნილი ზოგადი ისტორიული კონტექსტიდან;

- აქ, შესაძლებელია არსებულზე ოდნავ მოზრდილი ნაგებობების დაპროექტება. თუმცა, პროექტირებისას ზომიერებაა საჭირო რათა ისტორიული უბანი არ დაემსგავსოს საგარეუბნო კვარტალებს;

- ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს გვერდით მდგომი შენობა №9-ის დაშენების პროექტის დამუშავება და სასურველია „ჩვენი“ ნაკვეთის პროექტირებისას გათვალისწინებული იყოს ეს გარემოება;

- მნიშვნელოვანია ასევე გათვალისწინებული იყოს აქ არსებული რამდენიმე ღირებული ნაგებობის არქიტექტურაში შემორჩენილი XIX-XXსს-ის დასაწყისის სამშენებლო ხელოვნებისა და მხატვრული გაფორმების სხვადასხვა ხერხი და ნიმუში, რაც სრულად ასახავს თავისი ეპოქის სტილისტურ ესთეტიკას;

- ამიტომ, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ახალ განაშენიანებაში რეკომენდებულია შენარჩუნდეს ძველის ძირითადი საფასადო სტრუქტურული მახასიათებლები და ზოგადი პროპორცია, რათა განაშენიანებას შეუნარჩუნდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე. ინტერიერის მოწყობისას კი უფრო თავისუფალი მიდგომაა შესაძლებელი;

- შესანარჩუნებელია ეზოების სისტემა, ოღონდ არ არის საჭირო ამ ეზოებს ჰქონდეთ ნახევრადსაკარმიდამო ნაკვეთების სახე და შესაძლებელია თბილისური ტიპის შიდა ეზოების დაპროექტება. მოცულობები შესაძლებელია გაეწყოს ქუჩის პერიმეტრზე და ასევე კვარტალის შიდა ნაწილშიც;

- ამ მიკროუბნის არქიტექტურულად ჩამოყალიბებულ ხასიათად შესაძლოა მივიჩნიოთ აგურის შეულესავი წყობის ნაგებობები აგურისავე წყობით გამოყვანილი მარტივი არქიტექტურული დეტალებით. ასევე, შელესილი ფასადები კვლავ მარტივი არქიტექტურული ფორმებით. უბნის მხატვრული მთლიანობა სწორედ ამ ტიპის ნაგებობებით მიიღწევა;

- თუმცა აქ, პროექტირებისას უნდა მოხდეს ტრადიციულად ჩამოყალიბებული ჯანმრთელი ურბანული ქსოვილის სიღრმისეული შეგრძნება და იმ მიზეზების ნათლად დანახვა, რამაც განაპირობა განაშენიანების ესა თუ ის ტიპი ან სახე, რათა ახალი მოცულობები არ დაემსგავსოს ბუტაფორიას;

- სასურველია ასევე, რომ წარმოდგენილი იყოს ფოტომონტაჟი ახალი მოცულობების ჩასმით, არა მხოლოდ სახლის ჩვენებით, არამედ სხვადასხვა რაკურსებიდან, ზედხედის ჩათვლით, ფართო პერსპექტივის წარმოჩენით;

- მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ფოტომონტაჟს თან ახლდეს არსებული ვითარების იგივე ფოტო, იგივე რაკურსითა და მასშტაბით, რათა ნათლად დადგინდეს განსხვავება არსებულსა და საპროექტო ხედს შორის;

- მნიშვნელოვანია, რომ პროექტირება და მშენებლობა იყოს სარისკიანი და ზოგადი არქიტექტურული კრიტერიუმები დაცული;

ხელოვნებათმცოდნე – ნია ჯანიშვილი
16. 06. 2019წ.